

XI – XII კლასი

I. ქართველი მწერლების ბიოგრაფიული შტრიხები. შემოხაზით სწორი პასუხი: (40 ქულა)

- რომელი ქართველი პოეტი გადმოვარდა გიმნაზიის კიბიდან, რის გამოც დარჩა კოჭლად?
ა) ალექსანდრე ჭავჭავაძე; ბ) გრიგოლ ორბელიანი; გ) ნიკოლოზ ბარათაშვილი;
- რომელი ქართველი მწერალია დაკრძალული საკუთარი სახლის - კოლხური კოშკის მახლობლად ანდერძისამებრ?
ა) კონსტანტინე გამსახურდია; ბ) გიორგი ლეონიძე; გ) შოთა ნიშნიანიძე;
- რომელი ქართველი მწერალი დაიბადა გორის რაიონის სოფელ ვარიანში?
ა) ილია ჭავჭავაძე; ბ) არჩილ სულაკაური; გ) იაკობ გოგებაშვილი;
- ვინ არის ავტორი ისტორიული რომანისა „გმირთა ვარამი“?
ა) ლევან გოთუა; ბ) კონსტანტინე გამსახურდია; გ) ჭაბუა ამირეჯიბი;
- მე-20 საუკუნის რომელი ქართველი შემოქმედი იწოდება სიკვდილის პოეტად?
ა) ტიცინ ტაბიძე; ბ) ტერენტი გრანელი; გ) გალაკტიონ ტაბიძე;
- რომელი ქართველი პოეტია დაკრძალული უკრაინის ქალაქ მირგოროდში?
ა) ნიკოლოზ ბარათაშვილი; ბ) გრიგოლ ორბელიანი; გ) დავით გურამიშვილი;
- რომელი ქართველი მწერალი გამოესალმა წუთისოფელს „მზიანი გულითა“ და ხალისიანი იუმორით?
ა) აკაკი წერეთელი; ბ) ნოდარ დუმბაძე; გ) რევაზ ინანიშვილი;
- ვინ არის ავტორი ამდერებული ტექსტებისა „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“ და „საქართველოო ლამაზო“?
ა) გალაკტიონ ტაბიძე; ბ) ანა კალანდაძე; გ) მუხრან მაჭავარიანი;
- რომელი უდიდესი ქართველი პოეტია მოხსენიებული იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში?
ა) შოთა რუსთაველი; ბ) არჩილ მეფე; გ) თეიმურაზ მეფე;
- რომელი რომანტიკოსი პოეტი იყო იმპერატრიცა ეკატერინეს ნათლული?
ა) გრიგოლ ორბელიანი; ბ) ნიკოლოზ ბარათაშვილი; გ) ალექსანდრე ჭავჭავაძე;

II. ქართული სიტყვების სალაროდან. შემოხაზით სწორი პასუხი: (30 ქულა)

- რას აღნიშნავს სიტყვა „პერსონალი“?
ა) დაქირავებული ხელოსნები;
ბ) მცირეშემოსავლიანი ადამიანების ჯგუფი;
გ) ერთ სამსახურებრივ საქმიანობაში ჩაბმულ ადამიანთა ერთობლიობა;
- რას აღნიშნავს სიტყვა „პლატო“?
ა) მდინარის ნაპირი; ბ) მთის ვაკე თხემი; გ) ჭაობიანი ადგილი;
- რას აღნიშნავს სიტყვა „ლადარი“?
ა) ნაკვეთხლებიან ნაცარს; ბ) ძველებურ თონეს; გ) გახურებულ ღუმელს;
- რას აღნიშნავს სიტყვა „პოლემისტი“?
ა) დახლის ვაჭარი; ბ) კამათის მოყვარული; გ) მოგზაური;
- რას აღნიშნავს სიტყვა „ჟინი“?
ა) ძლიერი, დაუოკებელი სურვილი; ბ) საცირკო ხელოვნება; გ) ბუჩქოვანი მცენარე;
- რას აღნიშნავს სიტყვა „პრესტიჟი“?
ა) მაღალი საზოგადოება; ბ) დაჟინებული მზერა; გ) გავლენა, ავტორიტეტი;
- რას აღნიშნავს სიტყვა „რეზიდენცია“?
ა) დაავადებათა ცენტრი; ბ) რაიმე კვლევითი ინსტიტუტი; გ) მაღალი თანამდებობის პირის ადგილსამყოფელი;
- რას აღნიშნავს სიტყვა „გალაჯული“?
ა) ფეხებგაჩაჩხულს; ბ) გარუჯულს; გ) დონჯემოყრილს;
- რას აღნიშნავს სიტყვა „ქუჩი“?
ა) ხის ერთ-ერთ ჯიშს; ბ) სოფლის ორღობეს; გ) მთის ბალახს;
- რას აღნიშნავს სიტყვა „ბინული“?
ა) ჭის ცივ წყალს; ბ) მიწიდან ამომავალ წყაროს; გ) მთიდან დაშვებულ წყალს;

III. დაასრულეთ აფორიზმები! შემოხაზეთ სწორი პასუხი: (30 ქულა)

21. ბოროტსა სძლია კეთილმან ...
ა) სიკეთე მაინც გრძელს; ბ) უფალი მაინც დიდია; გ) არსება მისი გრძელს;
22. ავსა კაცსა ავი სიტყვა ...
ა) ურჩევნია დედ-მამასა; ბ) ურჩევნია სულსა, გულსა; გ) ურჩევნია ყველაფერსა;
23. გველსა ხვრელით ამოიყვანს ...
ა) ენა ძნელად მოუბარი; ბ) ენა მუდამ მოუბარი; გ) ენა ტკბილად მოუბარი;
24. ხამს სტუმარი სასურველი ...
ა) მასპინძელი მხიარული; ბ) მასპინძელი უთმობელი; გ) მასპინძელი ძნელად მსმელი;
25. ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა ...
ა) მაგრამ თქმა სჯობს გონიერი;
ბ) ზოგჯერ თქმითაც დაშავდების;
გ) ზოგჯერ თქმა სჯობს პირფერულიც;
26. სჯობს უყოლობა კაცისა ...
ა) მომდურავისა ყოლასა;
ბ) ბოროტი ძმისა ყოლასა;
გ) გაბოროტებით ყოფნასა;
27. ოდეს კაცსა დაეჭიროს ...
ა) მაშინ სჭირდეს მამაცობა;
ბ) მაშინ უნდა ძმა და თვისი;
გ) მაშინ მეტად გაიჭიროვს;
28. სიცრუე და ორპირობა...
ა) ავნებს ხორცსა, მერმე სულსა;
ბ) ჯერ კაცს ავნებს, მერმე სხვასა;
გ) ყველასა ავნებს, არსებს რაცა;
29. რაცა ღმერთსა არა სწადდეს ...
ა) არა საქმე არ იქმნების; ბ) არაფერი გამოვიდეს; გ) არა გქონდეს ლხინი, შვება;
30. თუ ყვავი ვარდსა იზოვნის ...
ა) თავი მერცხალი ჰგონია; ბ) თავი ტოროლა ჰგონია; გ) თავი ბულბული ჰგონია;

IV. ბონუს სავარჯიშო. ტექსტის რედაქტირება. შემოხაზეთ სწორი პასუხი: (15 ქულა)

ბონუს ქულა ჯამურ შედეგს დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე ტექსტის ძირითად ნაწილში დაკარგავს ქულას

31. რამდენი პუნქტუაციური შეცდომაა ტექსტში?

„ერთხელ გლეხებმა მთის ფერდობზე სოფელი ააშენეს. მთები გოლიათებივით აღმართულიყვნენ - მაგრამ გლეხებს სხვაგან ცხოვრება არ სურდათ: რადგან მთის კალთებზე ნაყოფიერი მიწა იყო.

ერთ დღეს მთის მწვერვალებიდან კვამლი ავარდა, მიწა შეზანზარდა და, ფერდობებიდან ლოდები ჩამოცვივდა. სოფლელები შიშმა შეიპყრო, იფიქრეს მთები გაცოცხლდნენ და უბედურებით გვემუქრებიანო. ადამიანებმა ერთად მოიყარეს თავი: დარწმუნებულნი იყვნენ სიკვდილი ელოდათ.“
/ეზოპეს იგავიდან/

- ა) სამი; ბ) ხუთი; გ) ექვსი;

32. რამდენი მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომაა ტექსტში?

„იყო ერთი მელა, რომელიც ტყეში ბედნიერათ ცხოვრობდა და მეზობლებთანაც მშვიდობა ქონდა. თუმცა ერთხელ იმ არე-მარეში ლომი გამოჩნდა. მელამ ლომი პირველათ რომ ნახა, შეშინდა, გაიქცა და დაიმალა.

გავიდა ხანი და ის კვლავ შეეფეთა ლომს, ოღონდ ამჯერათ აღარ გაქცეულა. მხეცთა ბრძანებლისგან მოშორებით, უსაბრთხო მანძილზე შეჩერდა და თვალი გაააყოლა. როდესაც მათი გზები მესამედ გადაიკვეთა, მელასთვის ლომთან შეხვედრა მოულოდნელი აღარ ყოფილა. მან თანდათან დაძლია შიში.“
/ეზოპეს იგავიდან/

- ა) რვა; ბ) შვიდი; გ) ათი;

